საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თერო

თერო

თერო (Lathyrus tuberosus), მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა. აქვს 25–100 სმ-მდე სიმაღლის კარგად შეფოთლილი ღერო, მეწამული წითელი სურნელოვანი ყვავილები. ფართოდ გავრცელებული მცენარეა. საქართველოში თითქმის ყველგანაა – მდელოებზე, ბუჩქნარებში, მდინარეთა ტერასებზე, ნათესებში და რუდერულ ადგილებზე დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე. თაფლოვანია.

ი. ლაჩაშვილი